ჩემი ქობულეთი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

www.adjaraps.com

№24 (147), 18-25 ოქტომბერი, 2011 წელი | გამოწერის მეხუთე წელი | ფასი 40 თეთრი

საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა!..

„ჩემი ქობულეთის“ არქივი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება!

12 ოქტომბერს „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში გამოცემული ბეჭდური პერიოდული გამოცემების ყველაზე სრულყოფილ კოლექციას ფლობს. მასში დაცულია მასალები 1819 წლიდან (პირველი ქართული გაზეთის გამოცემიდან) დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო - 100-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ფოტომასალა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემების დედნებიც, მასალები იმ მოღვაწეებზე, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას.

გამოფენის პარალელურად ჟურნალისტებისა და მესამე სექტო-

(დასასრული მეორე გვერდზე)

სარეაბილიტაციო სამუშაოები თვალშისაცემია

ქობულეთის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯები თვალშისაცემია, კაპიტალურად კეთდება გზის სავალი ნაწილი აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე, მშენებლები მალე სანაპიროზეც გახსნიან სამშენებლო პოლიგონს, სიხარული ვერ დავფარეთ, როცა სანატორიუმ „ქობულეთის“ - ტერიტორია რკინის ღობეებშეხსნილი ვიხილეთ.

აღმაშენებლის გამზირზე ახლა სანიაღვრე და საკანალიზაციო კოლექტორების მოწესრიგება ხდება, მალე რუსთაველის ქუჩა ყოფილი რესტორან „კურზალის“ ტერიტორიამდე სრულიად მოწესრიგდება. დასასრულს უახლოვდება რუსთაველის ქუჩიდან აღმაშენებელზე გადასასვლელის მოწესრიგება ფიჭვნარშიც - სასაფლაოებთან.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობაში აგვიხსნეს, რუსთაველის ქუჩის სრული რეაბილიტაციის შემდეგ სატრანზიტო მოძრაობა ამ ქუჩაზე გადავა და აღმაშენებლის გამზირი სატვირთო ავტომანქანებისგან სრულიად განიტვირთება.

„ჩემი ქობულეთი“

იქნებ ესეც გავითვალისწინოთ!

ის, რაზეც ახლა უნდა მოგახსენოთ, ზოგისთვის მხიარული განწყობის, ბევრისთვის კი სერიოზული დაფიქრების საბაბი შეიძლება გახდეს.

როცა საუბარია ქობულეთის, როგორც საკურორტო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, აუცილებელია მხედველობაში საზოგადოებრივი საპირფარეშოების საკითხიც მივიღოთ, რადგან ამის გარეშე კურორტის ნორმალური ფუნქციონირება უბრალოდ, წარმოუდგენელია.

აბა, ჩამოიარეთ 12 კილომეტრიანი სანაპირო ზოლი, იმავე სიგრძის აღმაშენებლის გამზირი და არანაკლები რუსთაველის ქუჩა, თუ სადმე მსგავსი დაწესებულება იხილოთ. ერთადერთი საპირფარეშო ჰქონდა ქალაქს მუნიციპალიტეტის გამგეობის უკან და ისიც აღიგავა მიწისაგან პირისა... ადგილობრივებზე რომ არაფერი ვთქვათ, რა ქნას დამსვენებელმა, ბავშვებმა და მოხუცებმა? იქნებ ქობულეთის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხუთმილიონიან პროექტში ეს პრობლემაც გავითვალისწინოთ!

„ჩემი ქობულეთი“

ულტურის სახლი დაინგრა, რა შენდება მის ნაცვლად?!.

ქობულეთის მოსახლეობა ისე იყო შესისხლხორცებული რაიონის კულტურის სახლის ნაგებობასთან, იმდენი ღირსშესანიშნავი წარსულის მოვლენა აკავშირებდა მასთან, გულისწყრომას ვერ ფარავდა მისი გაუქმების, კერძო სტრუქტურის ხელში გადასვლისა და ქობულეთში კულტურული ცხოვრების ჩაკვდომის გამო.

გულდასაწყვეტი ისიც იყო, რომ მისმა ვაი-მეპატრონემ ადგილიდან ვერ დაძრა საკუთარი პროექტი, რომელიც ქობულეთელთათვის არც ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა...

ეტყობა, ბათუმის გრანდიოზული აღმშენებლობის ფონზე ნახევრადდანგრეული, ტუალეტად ქცეული ეს

(დასასრული მე-2 გვერდზე)

რა ბედი ელის ნაომარ და ნაფრონტალ „ივერიას“?!.

ამ ქალაქში თითქმის ყველაფერს ეშველა, ქუჩას, გზასაც, გადასასვლელსაც... ყოველშემთხვევაში პატრონი მაინც გამოჩნდა და იმედის სხივი აკიაფდა, მაგრამ რა ეშველება ეშმაკების ამარად მიტოვებულ, ერთ დროს ყველაზე პრესტიჟულ, ულამაზეს და ხალხმრავალ დასასვენებელ სახლ-„ივერიას?!“

ამ ობიექტის გროშებად გაყიდვა სხვა თემაა, მკრეხელობაში ნუ ჩამოგვართმევთ და... ეს ცოდვა თან გაიყოლა საფლავში ზურაბ ჟვანიამ და... დაპირებული უკეთესის მოლოდინში, მთლად საშინელება შეგვრჩა ხელთ.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ხელოვანის ოჯახის უმძიმესი და უსასრულო ტრაგედია...



ვაჟა ვერულიძეს ქობულეთელთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება, მას, როგორც შესანიშნავ ხელოვანსა და მხატვარს, არა მარტო ჩვენთან, არამედ რეგიონის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ, თუმცა...

დღეს ცნობილი ხელოვანი მკითხველს გვსურს სხვა კუთხით დავანახოთ, რადგან ბევრმა ქობულეთელმა კარგად არ იცის მისი ოჯახის ტრაგედია, რომელიც საბჭოთა პერიოდს უკავშირდება და დღემდე ინერციით გრძელდება...

„ინტურისტის“ სასტუმრო „კოლხეთი“, რომელიც დღეს ფეხბურთელი კახი კალაძის საკუთრ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ქობულეთი - „არტ-გენის“ ტრადიციულ ფესტივალზე

15 ოქტომბერს გონიოს ციხეზე გაიმართა ყოველწლიური „არტ-გენის“ ფესტივალი, რომელშიც სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდნენ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ორგანიზებითა და ქობულეთის კულტურის ცენტრის ინიციატივით ფესტივალზე მოეწყო ქობულეთის კუთხე, სადაც წარმოდგენილი იყო სამუზეუმო ექსპონატები, ქობულეთელ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა და ტრადიციული კულინარია. ანსამბლმა „ქობულეთმა“ (ხელმძღვანელი თემურ თხილაიშვილი), საფესტივალო სცენაზე სიმღერაში შეზავებული ცეკვით ნამდვილი ფოლკლორული ნიმუში უჩვენა გემოვნებიან მაყურებელს, ფესტივალის მონაწილე ქართველ და უცხოელ ტურისტებს.

სიახლე

განათლების სისტემაში ელექტრონული სტრატეგია შემუშავდა, რაც სისტემის სრულ ელექტრონულ საქმიანობაზე გადასვლას გულისხმობს. ეს ეხება როგორც სკოლების მენეჯმენტს, ელექტრონულ ჟურნალებს, ასევე მანდატურების ოქმების ელექტრონულ წარმოებას.

განათლების მინისტრის განცხადებით, 1 ნოემბრიდან რამდენიმე სკოლაში ელექტრონული ჟურნალები ამოქმედდება, ხოლო 1 იანვრიდან დანარჩენი ქალაქების ელექტრონულ სისტემაში ჩართვა ეტაპობრივად დაიწყება.

ქობულეთი პოლონეთს დაუმეგობრდა

ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის ქალაქ კელცეს შორის მეგობრობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი ქობულეთის გამგებელმა გელა ცხომელიძემ და კელცეს მერმა ვოისიჩ ლუბავსკიმ მოაწერეს. სამომავლოდ ორ ქალაქს შორის მჭიდრო ურთიერთობა სოფლის მეურნეობის, სპორტის, ტურიზმისა და განთლების კუთხით გაგრძელდება.

პოლონური დელეგაციის წევრებს შორის ბიზნესმენებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც რეგიონის პოტენციალს გაეცნენ. სტუმრებმა მოინახულეს რეგიონის ღირშესანიშნავი ადგილები.

რედაქციისაგან: ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ რედაქციას ამ მოვლენაზე დასწრების საშუალება არ მიეცა, ამიტომ მასალას დაგვიანებით და ისიც აჭარის ტელევიზიის ინფორმაციაზე დაყრდნობით ვბეჭდავთ...

ყურადღება!

WWW.ARIES.GE
CREWING AGENCY

შპს მეზღვაურთა
დასაქმების სააგენტო
ARIES
აცხადებს მეზღვაურთა მიღებას
შემდეგ მაღალანაზღაურებად
თანამდებობებზე:
გემის კაპიტანი
კაპიტნის თანაშემწე
უფროსი მექანიკოსი
მეორე მექანიკოსი
ელექტრომექანიკოსი

დაწვრილებითი
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
მისამართზე: ბათუმი, ჟორდანიას
ქ.№9; ტელეფონი: 27 96 86;
მობ: 597 96 95 93

WWW.ARIES.GE

კულტურის სახლი დაინგრა, რა შენდება მის ნაცვლად?!.

(პირველი გვერდიდან)

ნაგებობა ქობულეთის ცენტრში, ხელისუფლებასაც თვალში გაეჩხირა და აი, მიმდინარეობს მისი დემონტაჟი...

- რა აშენდება? ამ კითხვაზე პასუხი ყოველ ჩვენგანს აინტერესებს.

ინფორმაციისათვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროს მერაბ ჯინჭარაძეს ვეწვიეთ.

- როგორც იქნა, კულტურის სახლი დიდი ბრძოლის შემდეგ და სასამართლო სტრუქტურების ჩარევის შედეგად იურიდიული სივრციდან გამოვიდა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა. ამჟამად შენობის დემონტაჟს ინდმეწარმე ჯემალ ოქროპირიძე ახორციელებს, რომელმაც ტენდერით მოიპოვა ამის უფლება.

- და რას უნდა ველოდოთ ამ თვალსაჩინო ადგილას, ამბობენ, სკვერი უნდა გაშენდესო, ნუთუ?

- არამც და არამც. ხელისუფლებაში ცალსახადაა ლაპარაკი ამ ადგილას კვლავ კულტურის ცენტრის თანამედროვე შენობის აგებაზე, რომელიც ქობულეთის ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა უნდა იყოს. როგორც ვიცი, ჯერჯერობით პროექტი არ არის შემუშავებული, ცხადია, არც მშენებელი ორგანიზაციაა გამოკვეთილი. ვფიქრობ, ამჯერად იგი სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელდება.

როგორც გამგეობის პრესსამსახურის უფროსმა მანონი შავიშვილმა გვითხრა, ქობულეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა ქალაქის განვითარების პრიორიტეტული გეგმის ნაწილია და უახლოეს ხანში მის განხორციელებას უნდა ველოდოთ. ალბათ სულ მალე შენობის საპროექტო დაგეგმარებაც გახდება ცნობილი და მშენებლობის ღირებულებაც გამოიკვეთება.

დაველოდოთ და იმედი ვიქონიოთ!

ეთერ ჩხაიძე

რა ბედი ელის ნაომარ და ნაფრონტალ „ივერიას“?!.

(პირველი გვერდიდან)

გადაუმოწმებელი ინფორმაციით, „ივერიის“-ტერიტორია რამდენიმე ნაწილადაა გაყიდული, პირველი ნაწილი, სადაც სასტუმროს მაღლივი კორპუსია განთავსებული და მეორე - სადაც დამხმარე ნაგებობები მდებარეობს. ერთიც და მეორეც ნაომარ-ნაფრონტალი გეგონებოდათ, ისეთ დღეში შეიყვანა წლების წინ ახალმა მეპატრონემ. ჯერ დასასვენებელი სახლის ულამაზესი ეზო გაანადგურეს, მრავალწლიანი ფიჭვები დაჭრეს და დაჩეხეს, ეს ყველაფერი კი ერთი უღიმღამო კაფე-ბარის მშენებლობით დასრულდა, მერე ქუდი დაიხურეს და გაუჩინარდნენ...

ახლა „ივერიის“ - შესასვლელს „ამშვენებს“ - წარწერა: „იყიდება“... თუმცა, მყიდველი წლებია არ გამოჩენილა...

სასტუმროს მშენებარე კორპუსი დიდი ხანია ავარიულ მდგომარეობაშია, იგი სიბინძურისა და ქვეწარმავლების ბუდედაა ქცეული. როგორც ადგილობრივებმა გვითხრეს, შენობიდან სისტემატურად გამოდიან გველები, შარშან ერთი მოზრდილი ქვეწარმავალი მოუკლავთ კიდეც... და ამ პირობებში, პირდაპირ შენობის გვერდით, მუშაობს რესტორანი „ივერია“, რომლის კლიენტიც არაფრითაა დაცული უბედური შემთხვევისაგან. აქ თითქმის ყოველ მეორე დღეს ხალხმრავალი ქორწილები იმართება, რესტორანის შემოსავალიც ალბათ ადეკვატურია, მაგრამ ტერიტორიის მოწესრიგება ჯერ თავში არავის მოსვლია...

ადგილობრივი მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვს საშველი დაადგეს ამ საშინელებას, მოხდეს შენობის დემონტაჟი და თუ სხვა არაფერი, ირგვლივ სისუფთავეზე მაინც იზრუნოს ვინმემ. კაცმა რომ თქვას, მართლებიც არიან, რადგან ხელისუფლება ტურისტების მოსაზიდად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში მილიონებს ხარჯავს, „ივერია“ კი პირიქით, აფრთხობს ტურისტს და აღარანაირად აღარ ჯდება არც წარსულის, არც თანამედროვეობის და არც მომავლის ჩარჩოებში.

ინეზა კეკელიძე

„ჩემი ქობულეთის“ არქივი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება!

(პირველი გვერდიდან)

რის წარმომადგენლებისათვის მოეწყო შემეცნებითი პრეზენტაციები ქართული პრესის განვითარებაზე, მოვისმინეთ მეტად საინტერესო მოხსენება „ქართული მედია ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების სამსახურში“, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მაია მიქაბერიძემ წარმოადგინა. ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო საზოგადოების ერთიან ციფრულ ბიბლიოთეკასა და ქართული პერიოდული გამოცემების „ციფრულ“ მომავალზე აუდიტორიას გიორგი კილაძე ესაუბრა, საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ქართულ მედიაში რეკლამის განვითარების ისტორია, რომელზეც შეკრებილებს ნინო სიხარულიძე ესაუბრა. ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე ისაუბრა ხათუნა კენჭოშვილმა. ასევე წარმოადგინეს ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი და ქართული ჟურნალების ციფრული ბიბლიოთეკა. გაიმართა დისკუსია ბიბლიოთეკების, მედიისა და არასამთავრობო სექტორის მომავალი თანამშრომლობის თემაზე.

გამოფენის ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების დირექტორ ლევან თაქთაქიშვილთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“ 1998 წლიდან გამოცემულ გაზეთ „აჭარა P.S.“-ის თხუთმეტწლიან, ასევე 2007 წლიდან გამოცემულ გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ ხუთწლიან არქივებს შესანახად ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცემს, ჩვენი რედაქციები საიტზე განსათავსებლად გაზეთების ახალი ნომრების ელექტრონულ ვერსიებსაც ბიბლიოთეკას ყოველკვირეულად მიაწვდიან.

რეპორტიორი ქალაქში

რას შეცვლის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში?

სმს - ფორუმი: გაგვიზიარეთ თქვენი აზრი მოკლე ტექსტური შეტყობინებით: 551 97 97 00

ჯონი ბოლქვაძე, მეწარმე:

- ჩემი აზრით, ივანიშვილი დიდად ვერაფერს შეცვლის, უბრალოდ, პარტიებს შორის კონკურენცია გაიმართება.

ჯუმბერ შავიშვილი, დრ. უმუშევარი:

- ივანიშვილის გამოჩენის შემთხვევაში ყველაფერი სამას სამოცდახუთი გრადუსით შეიცვლება.

ამირან ბიაძე, დრ. უმუშევარი:

- ვფიქრობ, მისი მოსვლა ქართულ პოლიტიკაში სამართლიანია და ყველაფერი კარგისკენ შეიცვლება.

ოთარ ნაკანი, ენერგეტიკოსი:

- მისი მოსვლა ყველაფერს უკეთესობისკენ შეცვლის და მჯერა, რომ ყველაფერი გაუმჯობესდება.

დათო ვერულიძე, დისტრიბუტორი:

- ყველაფერი ისევ ისე დარჩება, არაფერი შეიცვლება. არ მაქვს იმის ილუზია, რომ ერთმა კაცმა რაიმე მოახერხოს.

მალხაზ ცეცხლაძე, დრ. უმუშევარი:

- ალბათ ყველაფერი კარგისკენ შეიცვლება. ივანიშვილს დიდი ფული აქვს და თუ ხალხს მოახმარს, ამას რა სჯობია?

თამაზ ქარცივაძე, ინდ. მეწარმე:

- არ ვიცი, ვერ გეტყვით... პოლიტიკა ნაკლებად მაინტერესებს, მე ჩემი საქმე მაქვს და იმათ თავისი...

თინათინ ტაკიძე,
ხვიჩა კონცელიძე

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ანზორ შაფათავას ტურნირი

14 ოქტომბერს დასრულდა ცნობილი ქობულეთელი ფეხბურთელის ანზორ შაფათავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში, ქობულეთის, ბათუმის, ოზურგეთის და ჩოხატაურის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ფინალურ დღეს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრა, სადაც გამოვლინდა მესამე ადგილის მფლობელი გუნდი "ქობულეთი". ხოლო ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთისა და ბათუმის გუნდები. ტურნირის გამარჯვებული გახდა ბათუმი.

მატჩს ესწრებოდა ქობულეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

შეჯიბრების ორგანიზატორია გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახური. ტურნირის ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხადასხვა ნომინაციაში. ისინი თასებით, პრიზებით და შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ქუჩას რომ გვის, რა ქალია?!.

დილის ამომავალ მზეს რომ ჩვენი ქალაქი სუფთა ქუჩებით ეგებება, ზოგადად დასუფთავების სამსახურის გამართული მუშაობის შედეგია. ერთხელ, რედაქციაში სტუმრობის დროს, ამ სამსახურის დირექტორმა ვაჟა ჯინჭარაძემ გვითხრა, რომ ყოველდღიურად ათასობით კვადრატული კილომეტრის დასუფთავება-დალაგება უხდებათ, რაც რა თქმა უნდა, დიდ ნერვებსა და შრომას მოითხოვს. როცა სიტყვა თანამშრომლებზე ჩამოვუგდეთ, მან საუკეთესოთა შორის „ივერია“-„ინტურისტის“ უბნის მეეზოვე ციცინო მარკოიძეც დაგვისახელა და გვითხრა: ფუტკარივით მშრომელია, ისე უყვარს თავისი საქმე, 24 საათი დარსა და ავდარში უბანში ტრიალებს და ზოგჯერ ძალად ვანებებინებთ თავს სამუშაოს, გვეშინია რაიმე არ დაემართოსო...

მართლაც, ნათქვამი ერთია და საკუთარი თვალით ნანახი მეორე, ციცინოს გამრჯეობამ მთელი უბანი აალაპარაკა, უმრავლოს ქობულეთს მისნაირები!

„ჩემი ქობულეთი“

ხელოვანის ოჯახის უმძიმესი და უსასრულო ტრაგედია...

(პირველი გვერდიდან)

ებას წარმოადგენს, „გულში“ დიდ და სისხლიან ისტორიას „ინახავს“...

ეს ტერიტორია ვაჟა ვერულიძის ბაბუის ქამილ ვერულიძის კუთვნილებაა, რომელიც მას კომუნისტებმა ყოველგვარი აპელაციის გარეშე წაართვეს, თუმცა ესეც არ აკმარეს და ე.წ. ტროიკის გადაწყვეტილებით როგორც „ხალხის მტერი“ დახვრიტეს კიდეც...

ქამილ ვერულიძე სულითა და ხორცით ქართველი, ძნელბედობის ჟამს, დედასაქართველოსთან მოწყვეტილ აჭარაში ისლამს იყო ნაზიარები, უმაღლესი განათლება მექა - მედინაში მიეღო და როცა სამშობლოში დაბრუნდა, ქობულეთის ჯამეში ხოჯად მუშაობდა (ხოჯა იმ დროს მასწავლებელს ერქვა მედრესეში. ნ.ჟ.) თუმცა, როგორც ბევრი სხვა ქობულეთელი მუსლიმანი ქართველი, ქართულსაც კარგად ფლობდა, ქართულ ლიტერატურასაც იცნობდა, შვილებს და ახლობლებს არაბულთან ერთად ქართულ ანბანსაც ასწავლიდა და შოთას, ილიასა თუ აკაკის აზიარებდა... ქართველ გამოჩენილ მოღვაწეებთანაც მეგობრობდა და ქვეყნის გაბრწყინებაზე, მის ლამაზ მომავალზეც ოცნებობდა. ის დიდი ქობულეთელი მუსლიმანი ქართველის, სკენდერ ეფენდი ცივაძის მოწაფე და თანამოსაქმე გახლდათ, რომელსაც 1919 წლის ცნობილი რეფერენდუმის ჩაშლაში მონაწილეობა სხვაგვარად მოუნათლეს, (არადა მაშინ თურქეთს ხელმეორედ ჩასაყლაპავად გამზადებული აჭარა ლამის პირიდან ამოაცალეს), უმთავრესი მიზეზი კი ქამილის ქონება გახდა, მისი საკმაოდ დიდი, კარგად მოვლილი მამული ეზო-კარი ზღვისპირას, დღევანდელი „ინტურისტის“ სასტუმროს ალაგზე... ექსპროპრიაციაში გაწაფულმა ბოლშევიკებმა მის მამულს დაადგეს თვალი და მიზეზთან ერთად საბაბიც გამოჩნდა: მაშინ, იმ პერიოდში, ქობულეთის ფიჭვნარში, საკურორტო ზონა და კურორტსამმართველო შეიქმნა, ხოლო ქამილ ვერულიძის ეზო-მიდამო ამ ზონის „მარგალიტად“ მოიაზრებოდა...

და მაინც რატომ გაანადგურეს ქამილ ვერულიძე? როგორც გაირკვა, მის შესახებ მასალებისა და დოკუმენტების დიდი ნაწილი დაპატიმრებისთანავე ჩეკამ წაიღო და დახვრეტის შემდეგ ოჯახისთვის აღარ დაუბრუნებიათ, არც განაჩენი უცნობებიათ, არც დახვრეტის დრო და თარიღი და არც საფლავი იცის ვინმემ, თუმცა, ერთი რამ ცნობილია, მის მიმართ წაყენებული ბრალდება სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეხება, ოფიციალურად კი არც ესაა დაფიქსირებული, როგორც იმდროინდელი „ტროიკა“ აპელირებდა, საკმარისი იყო „ხალხის მტრის“ იარლიყის მიწებება...

ქამილ ვერულიძე, მექა-მედინაში უმაღლესი სასულიერო განათლების მიღების შემდეგ გარკვეული წლები იქვე, მექაში მოღვაწეობდა, შემდეგ სასულიერო საქმიანობა თურქეთში გააგრძელა. სტამბულში მან 12 წელი დაჰყო და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა. განსაკუთრებით პოპულარული იყო იგი ოსმალეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა შორის. გამოირჩეოდა შინაგანი კულტურით, განსწავლულობით, სიმართლისადმი ერთგულებით, მისთვის ისლამის მსახურებას და ხოჯიობას, ხელი არ შეუშლია ეროვნული, საქვეყნო საქმეების კეთებაში. ერის გამორჩეულ ადამიანებთან ურთიერთობაში. მან დიდი როლი ითამაშა მუჰაჯირობის დროს გადახვეწილ თანამემამულეთა სამშობლოში დაბრუნების საქმეშიც. ქამილ ვერულიძეს საკმაოდ ახლო მეგობრები იმდროინდელი თურქეთის სახელმწიფო მოხელეთა ელიტაშიც ჰყავდა. ცნობილია, რომ მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი იყო თურქეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშაც. ასრულებდა რა კინტრიშის ხეობის (მაშინდელი ჩურუქსუ-ქობულეთის ნ.ჟ.) მთავარი მუფთის მოვალეობას, აქტიურად იყო ჩართული იმდროინდელ, რთულ და აწეწილ საზოგადოებრივ პროცესებში და ერთობ დაბალანსებული პოზიციით გამოირჩეოდა, რაც რეფერენდუმის დროსაც გამოიკვეთა. არსებობდა რიგი გამოწვევებიც, რომელთა მოგვარებაც დიდ ძალისხმევას და წინააღმდეგობების გადალახვას მოითხოვდა. იყო და ბოლომდე დარჩა აჭარაში ნამდვილი და რეალური თვითმმართველობის განხორციელების მომხრე, ზრუნავდა, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მკვიდრი ჩართულიყო ამ პროცესებში, მიეღოთ განათლება და განეხორციელებინათ წინაპართა საუკუნოვანი ოცნება, რაც იმდროინდელ კომუნისტურ ლიდერებს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ, ეს კი მათთან მიმართებაში არაერთ პრობლემას ქმნიდა. ისიც ცნობილია, რომ კარგი ორატორული ნიჭის მქონესთან ბოლშევიკ მოხელეებს უჭირდათ პოლემიკაში შესვლა და ერთობ გაურბოდნენ კიდეც ურთიერთობას. ასე რომ, კომუნისტური რეჟიმისთვის, როგორც პიროვნება მიუღებელიც იყო...

მოკლედ ქამილი დახვრიტეს და ყველაფერი რაც ებადათ, წაართვეს.

აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში: აჭარისტანის ავტ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი №6. ბათუმი, 1928 წლის 10 აპრილი, სხდომას მ. სურმანიძე თავმჯდომარეობდა. მდივანი ს. ზოიძე გახლდათ, წევრები: ამხ. ლ. გამყრელიძე, ს. ლორთქიფანიძე, ი. ბრეგაძე, ბერეკაშვილი, თავდგირიძე, ი. ბოლქვაძე, ჯინჭარაძე, ზ. ლორთქიფანიძე, საკითხის განხილვას დაესწრენ ამხ. კეჭახმაძე, მდივნობს ნ. ჯაველიძე. განსახილველი საგანია 1) ქობულეთის კურორტის საჭიროებისათვის იქვე მდებარე კერძო მოქალაქეთა აგარაკების შეძენის შესახებ. შემოტ: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, იურისტკონსულის დასკვნით. (მომხს. ამხ. ბოლქვაძე). დადგენილება: 1) აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობა ქობულეთის კურორტის კეთილმოწყობისა და გაფართოების მიზნით მიმდინარე წლის სამშენებლო გეგმის ჩასატარებლად საჭირო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

იქ, სადაც წინაპართა დიდების ნაპვალევია...

ქარვისფერი შემოდგომის ნისლიანი დღე იდგა. უხილავი მხატვრის ჯადოსნური ფუნჯით შეფერადებულ ხეებს აბეზარი ქარი აკვნესებდა... შემოდგომის იდილიურ დილას ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების შემსწავლელ კლუბ „კვალის“ წევრთა ჟრიამული არღვევდა, გვიხაროდა ყველას, ვემადლიერებოდით კულტურის ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნაირა ვასაძეს და ჩვენი კლუბის ხელმძღვანელს ია სურმანიძეს, რომ ოცნება რეალობად გვიქციეს და თითოეულ ჩვენგანს საშუალება მოგვცეს გვენახა კახეთში არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლები, ალაზნის ველის თვალწარმტაცი ბუნება...

რუხი გზატკეცილი ნელ-ნელა იკეცებოდა

მანქანის ბორბლებქვეშ... აღმოსავლეთი თბილად შეგვხვდა სტუმრებს, მზემ გაგვიღიმა, თავისი ოქროსფერი სხივებით მოგვიალერსა, ლურჯმა ცამ ფართო თვალებით გადმოგვხედა. მალე გამოჩნდა სვეტიცხოვლის უძველესი ქონგურები. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა იგავმიუწვდომელმა ქმნილებამ საქართველოს გულში, საჩინო ადგილზე აგებულმა, იქვე სამთავროში მამა გაბრიელის წმინდა საფლავი მოვილოცეთ და კახეთისაკენ ავიღეთ გეზი... ზევიდან ცივგომბორის ცადაწვდილი მთები დაგვცქეროდა ამაყად, ქვევით ალაზნის უმშვენიერესი ველი გაშლილიყო, რომელიც ვაზის ნარგავებით იყო დამშვენებული, გზაში აკიდოებს გვთავაზობდნენ სტუმართმოყვარე კახელები. ყვარელში ილიას სახლ-მუზეუმი მოვინახულეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, შემდეგ ნეკრესისა და გრემის ტაძრები დავათვალიერეთ. მალე ალავერდის გუმბათები გამოჩნდა... იოსებ ალავერდელის ღვთიური მადლით დამშვენებულმა გუმბათებმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ასევე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იყალთოს ტაძარმა, სადაც ლეგენდის მიხედვით დიდ შოთას მიუღია განათლება. შემდეგ კი თელავით, ქართლ-კახეთის უძველესი სატახტო ქალაქით მოვიხიბლეთ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ერეკლე მეორის სახლ-მუზეუმი და ქეთევან იაშვილის სამხატვრო გალერეა. არც სიყვარულის ქალაქის მონახულება დაგვვიწყებია. არ შეიძლება იხილო სიღნაღი და აქ ოცნება არ აგიხდეს, ნანატრი არ აგისრულდეს, იქეთ, უფრო შორს ბოდბეს ტაძარში, წმინდა ნინოს საფლავთან ავანთეთ სანთლები და განვიბანეთ წმინდა ნინოს წყაროში.

...სვეტიცხოველი, სამთავრო, ნეკრესი, გრემი, ალავერდი, იყალთო, ბოდბე... საქართველოს ერთიანობის, ქედუხრელობის, შეუდრეკლობის სიმბოლო... საღამო მსუბუქად ეშვებოდა, ფრთხილად აქრობდა დღის ნათელ ფერებს და მორუხო ფერებით მოსავდა გარემოს, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულთ ღრმა შთაბეჭდილებებით დატვირთულებს დროდადრო გაგვიელვებდა ხოლმე ექსკურსიის დროს მიღებული შთაბეჭდილებები, რომლებიც დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგვყვება თითოეულ ჩვენგანს.

ანა კაკალაძე

სარეკლამო სამსახური: 551 55 30 55; ცხელი ხაზი: 26 24 04

ხელოვანის ოჯახის უმძიმესი და უსასრულო ტრაგედია...

(დასასრული)

ქობულეთში მდებარე ზოგიერთი კერძო მოქალაქეთა აგარაკების შესყიდვის შესახებ დაკმაყოფილებული იქნას და მოქ. 2) ქამილ ვერულიძის აგარაკი ეზოთი და ნაგებობებით, თანახმად სამ. სამ. კოდ. 69 მუხლისა, ჩამორთმეულ იქნას იძულებითი წესით და გადაეცეს ჯანმრთელობის სახკომისარიატთან არსებულ საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში იმ წესის დაცვით, რაც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 69-70 მუხ. დანართში. 2. გამოყოფილი იქნეს კომისია ქობულეთის მაზრის სახალხო მოსამართლისა და ფინინსპექტორის შემადგენლობით, რომელმაც შეაფასოს იმ ზარალის რაოდენობა, რაც მოჰყვება ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული აგარაკების ჩამორთმევას და სათანადო აქტი წარუდგინოს ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად".

(სტილი დაცულია)

დააკვირდით, ძვირფასო მკითხველო, ერთსა და იმავე დოკუმენტის ორ სხვადასხვა პუნქტში მთელი იმდროინდელი ეპოქის დინამიკა, არსი და „კანონმდებლობითი შედევრია" ჩადებული: ერთ პუნქტში ვითომ უნდა შეისყიდონ მოსახლეობისაგან აგარაკები, მეორე პუნქტში კი უტიფრად ადგენენ და წერენ, რომ ჩამოერთვას იძულებითი წესითო, თან ქობულეთის აღმასკომს ავალებენ იმ ზარალის „დადგენას", რაც ამ ექსპროპრიაციას მოჰყვება?!. მეორე დოკუმენტში კი დაფიქსირებულია, როგორ „შესტენეს" ოჯახს 108 მანეთი, ჩამორთმეული ქონების საფასურად, თითქოსდა ამოდენა ქონებას 108 მანეთი ეყოფოდა...

როგორც ბატონმა ვაჟამ გვიამბო და თან დამადასტურებელი დოკუმენტაციაც გვიჩვენა, ქამილ ვერულიძის ოჯახის მიმართ რეპრესიები ღიად თუ ირიბად არც შემდგომში შეწყვეტილა, ქამილის შვილებმაც იწვნიეს მათი წილი სიმძიმე, ისინი ხომ იმდროინდელი მიდგომების მიხედვით „ხალხის მტრის" შვილები იყვნენ...

შვილებიდან უფროსი ვაჟი ახმედი ცნობილი სამხედრო პირი გახლდათ. ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს იგი უთანასწორო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ასეულის მეთაურის პოსტი არ მიუტოვებია, სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოდა... როცა ფაშისტებმა შეიპყრეს, მამაცი მეთაური არ გატყდა, იგი კოცონზე ცოცხლად დაწვეს... ეს ამბავი მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლებისთვისაც გახდა ცნობილი და თუ სხვებს მსგავსი თავდადებისთვის გმირის წოდებაზე წარადგენდნენ ხოლმე, რახან ახმედი „ხალხის მტრის" შვილი იყო, ესეც მიაფუჩეჩეს, ცოტა მოგვიანებით მისი გმირობა მაინც აღიარეს, ბევრიც დაიწერა და გმირობაც დაუფასდა და საბრძოლო ორდენით აღინიშნა, ქობულეთში დღეს მისი სახელობის ქუჩაცაა...

მეორე ვაჟი, ვაჟა ვერულიძის მამა, რეზო ვერულიძე, ცნობილი გამომგონებელი, უნიკალური სამშენებლო მასალის - თეთრი თიხის პირველი აღმომჩენი გახლდათ. იგი მაშინდელი საბჭოეთის არაერთ რეგიონში ხელმძღვანელობდა დიდ სამშენებლო ობიექტებს და დამსახურებული ავტორიტეტიც მოიხვეჭა. ისიც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გახლდათ და მის მკერდსაც არაერთი მედალი საბრძოლო ჯილდო ამშვენებდა. როცა დაბრუნდა, იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, როგორც ნიჭიერი ორგანიზატორი, დაგვაში გაუშვა სამუშაოდ. სოფელს დღესაც აჩნია მისი კვალი, თუმცა „ხალხის მოღალატის" შვილის იარლიყი თავს იქაც ახსენებდა...

ქამილ ვერულიძის კიდევ ერთი ვაჟი სკენდერიც სამხედრო პირი გახლდათ, იგი გამორჩეული და მამაცი ოფიცერი იყო და ისიც ფაშისტებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა...

ბოლოს, ერთ საინტერესო დეტალზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება: ქამილ ვერულიძის ოჯახისათვის ჩამორთმეულ ეზო-მამულში კურორტსამმართველომ ჯერ პროფკავშირული დასვენების საკურორტო კერა მოაწყო, მერე კი 60-70-იან წლებში ამ ადგილას „ინტურისტის" სასტუმროს ცნობილი მაღლივი კორპუსი აიგო, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი ობიექტის მფლობელი ფეხბურთელ კახი კალაძის ოჯახია. ამბობენ, ეს შენობა კალაძემ 1,2 მილიონად შეიძინაო... თუმცა მას შემდეგ არც შენობას და არც შემოგარენს არაფერი შეჰმატებია. როცა სასტუმროს მფლობელი ვაჟა ვერულიძეს შეხვედრია, უთქვამს, დღეს ერთადერთი, რაც შემიძლია გაგიკეთოთ, თუ თქვენ ნება იქნება, სადმე, რაიმეზე დაგასაქმებთო... კეთილი და პატიოსანი, დღეს სხვა დრო და სხვა ეპოქაა, თანაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები მოქმედებს და სასტუმროს ახალ მეპატრონეს ვერც გაამტყუნებ და ვერც პრეტენზიას წაუყენებ, მაგრამ ისიც გავიგეთ, რომ თურმე ახალი მეპატრონე მის გაყიდვაზეც ფიქრობს და სავარაუდო ფასიც ალბათ გადახდილზე 5-6-ჯერ მეტი მაინც იქნება... იქნებ ღირდეს იმის აღიარება, რომ ქონების ხელმეორედ გაყიდვისას ფასთასხვაობიდან რაღაც, თუნდაც მცირე ნაწილის ნამდვილ მეპატრონეზე გადახდაც კომპენსაცია იქნებოდა... მით უმეტეს ბატონი ვაჟას ოჯახს დღეს ბანკთან აქვს დიდი პრობლემები (იგი აფერის მსხვერპლია ნ.ჟ.) და მისთვის პატარა ხელის წაშველება გადარჩენის ტოლფასი იქნებოდა.

ნუგზარ ჟორდანია

ეწვიეთ „ნიკორას" საფირმო მაღაზიებს ქობულეთში!

თქვენი გემრიელი არჩევანი

ნიკორა

მაქსიმალური კომფორტი, ფართო ასორტიმენტი და ხელმისაწვდომი ფასები – „ნიკორას" ქსელის მთავარი უპირატესობაა!

მისამართი: ქობულეთი, დავით ალმაშენებლის გამზირი № 159, რუსთაველის ქუჩა № 116

სტომატოლოგიური კლინიკა „უნივერსალ დენტი" აცხადებს ვაკანსიას ექიმის თანამდებობაზე. კლინიკაში ფუნქციონირებს ორთოპედიული კაბინეტი.

(კბილების გასწორება ნებისმიერ ასაკში).

დაგვიკავშირდით მისამართზე: რუსთაველის ქ. №162 – გ

ტელ: 599 182 397, 591 110 242

ქობულეთი ღირსეულ ფალავნებს ზრდის



7-9 ოქტომბერს, ქ. ონში გოგი სხირტლაძისა და შურა მაისურაძის სახელობის ტურნირი გაიმართა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში აჭარის ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაში ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოჭიდავემ, მესამე სკოლელმა თორნიკე ქათამაძემ და მეორესკოლელმა ლუკა ქარჩხაძემ იასპარეზეს. ტურნირში თორნიკესა და ლუკას წონით კატეგორიაში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან კიდევ 27 მოჭიდავე მონაწილეობდა.

ქობულეთელმა მოჭიდავეებმა ოთხ-ოთხი შეხვედრა მოიგეს და ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ, ორთაბრძოლა ქულების მცირე უპირატესობით თორნიკე ქათამაძემ მოიგო და პირველი ადგილიც მოიპოვა, ხოლო ლუკა ქარჩხაძე მეორე ადგილს დასჯერდა.

როგორც ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის მწვრთნელი ბადრი კაკალაძე აცხადებს, სკოლის უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ბრწყინვალე თაობა იზრდება, რომლებიც აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას რესპუბლიკურ და საერთაშორისო სარბიელზე.

„ჩემი ქობულეთი"

„ახალი ხმები" მადლობას უხდის...

კიდევ ერთი წარმატებული გასტროლი და შესაბამისად ლამაზი დღეები ჩაიწერა ქობულეთის კულტურის ცენტრთან არსებულ ახალგაზრდულ ანსამბლ „ახალი ხმების" (ხელმძღვანელი: დ. ვასაძე) შემოქმედებით ისტორიაში.

27 სექტემბერს, ანსამბლი სპეციალური მიწვევით გაემგზავრა ბულგარეთის ქ. ვარნაში მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალ „ზღვის ვარსკვლავებში" მონაწილეობის მისაღებად, სადაც საპრიზო ადგილები, ფულადი ჯილდოები და სამახსოვრო საჩუქრები დაიმსახურა.

რომ არა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და ფინანსური თანადგომა, გასტროლი არ შედგებოდა. ამიტომაც მთელი ანსამბლის სახელით და თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ მუნიციპალიტეტის ყველა იმ სამსახურის ხელმძღვანელებს, რომლებმაც არაფერი დაიშურეს ახალგაზრდა მომღერლების საფესტივალო დღეებში მონაწილეობისათვის ხელშესაწყობად.

გვჯერა, ანსამბლისათვის ეს გასტროლი სამომავლოდ მრავალი წარმატების საწინდარი იქნება.

ვულოცავთ ზაურ დოლიძეს!

დაბადებიდან 65 წლის იუბილეს მოგილოცავთ ჩვენო ჭარმაგო, ყურადღებიანო, თბილო და მოსიყვარულე მეგობარო! ჯამრთელობა და სიხარული ნუ მოგკლებოდეს შენს სიყვარულით ნაფერებ ოჯახში, დიდხანს იცოცხლე... გლოცავენ შენი დიდი ხნის მეგობრები.

კულტურის ცენტრი, ახალგაზრდული განყოფილება

პატივცემულო მშობლებო!

ხალხური, ეროვნული ცეკვების ანსამბლი „ამირანი" აცხადებს 6 - დან 12 წლამდე ასაკის გოგონებისა და ვაჟების მიღებას მოსამზადებელ ჯგუფში. სწავლების პერიოდში ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან საცეკვაო კოსტიუმებით, მუსიკალური თანხლებით, საგასტროლო მოგზაურობებით საზღვარგარეთ და რესპუბლიკის ფარგლებში, კონკურსებში მონაწილეობით. ბავშვებს ცეკვების შესწავლა – დაოსტატებაში დაეხმარებიან როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან მოწვეული პროფესიონალი ქორეოგრაფი. ანსამბლის ხელმძღვანელები ამირან და ქეთევან ინაიშვილები, ქორეოგრაფი რამაზ ჩიხლაძე.

საკონტაქტო ტელეფონი: 591 16 20 24, 592 16 20 24

საბავშვო სტუდია „მხიარული მიკროფონი"

იწვევს 4 დან 10 წლამდე ასაკის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ გოგო-ბიჭებს საესტრადო სიმღერის შესასწავლად. თქვენ წინ გელოდებათ უამრავი შოუ და გასართობი კონცერტი, კონკურსი და ფესტივალი ქალაქსა თუ ქალაქგარეთ!

იჩქარეთ, დრო შეზღუდულია!

დაგვიკავშირდით :

593 27 15 40

ჩვენი ქობულეთი

www.adjaraps.wordpress.com

E-mail:adjaraps@mail.ru

მთ. რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე

დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S." რეგისტრაციის № 03-4-111

მის: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ.№13, ტელ: 26 24 04; 8 790 96 24 04

სარედაქციო კოლეგია: ეთერ ჩხაიძე, ლია ბერძენიძე, გული ჯიჯავაძე, მარინა შავიშვილი, ნინო მეგრელიძე, სულხან მესხიძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!

ბეჭდვა შპს „პოლიგრაფ - 2010"-ში, ქ. ბათუმი, აუშაკინის ქ.№162